აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 82

14 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტისა და პოლიტიკური გაერთიანება ,,ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" თავმჯდომარის 2008 წლის 14 ნოემბრის №1/00-14 წერილის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. გაუქმდეს პოლიტიკური გართიანება ,,გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატების" მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის პარტიული სიით წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის ანზორ თხილაიშვილის (პარტიულ სიაში №2) საარჩევნო რეგისტრაცია.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე